Channel Georgia Consulting
401, BC3 Business Park, Ras Al Khaimah, United Arab Emirates, P.O.Box: 326480
Tel.: +971 (0)7 204 8440 Fax.: +971 (0)7 204 8441
15, Petre Kavtaradze Street, Tbilisi, Georgia
Mob.: +995 577 727 271
info@channelgeorgia.com www.channelgeorgia.com

ღია წერილი საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს,

ქ-ნ მინისტრ ტიკარაძეს,

გუშინ სპორტ დარბაზის ადმინისტრაციამ შეგვატყობინა, რომ თქვენი სამინისტროდან მიიღეს ინფორმაცია ახალი რეგულაციების შესახებ, რომელიც დარბაზში მოვარჯიშე ხალხს ავალდებულებს პირბადის ტარებას.

თქვენი ინსტრუქციები სრულ წინააღმდეგობაში მოდის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციებთან, რომელიც გარკვევით წერს ვებ გვერდზე, რომ „ ხალხმა ვარჯიშის დროს არ უნდა გაიკეთოს პირბადე, ვინაიდან იგი ამცირებს თავისუფლად სუნთქვის უნარს. მნიშვნელოვანი პრევენციული ღონისძიება ვარჯიშისას არის მინიმუმ ერთი მეტრის დისტანციის დაცვა“.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის გარდა, ცნობილი ამერიკული „მაიო კლინიკა“ აცხადებს, რომ „ ვარჯიშის დროს ნიღბის საშუალებით ჰაერის ნაკადის შემცირებამ შესაძლოა გავლენა იქონიოს სუნთქვასა და სხეულის ტემპერატურის რეგულირების უნარზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს თავბრუსხვევა, გონების დაკარგვა, თავის ტკივილი, კუნთების სისუსტე და სუნთქვის უკმარისობა“.

გულწრფელად არ მაქვს წარმოდგენა ვინ არიან თქვენს სამინისტროში „ჯანდაცვის ექსპერტები“, რომლებიც ამ საშიშ რეგულაციებს გასცემენ, ვეჭვობ შევარდნაძის დროს აქვთ დიპლომები შეძენილი და ერთადერთი სავარჯიშო, რაც კი ოდესმე გაუკეთებიათ, თეფშიდან ჩანგლის პირთან მიტანაა!

ერთი რამ ცხადია, რომ ჩემი ზაზუნა, გუნდას ჯანმრთელობასაც კი არ ვანდობდი მათ!

ადამიანების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა ისჯება სსკ-ს 127-ე მუხლით;

ახლა, როდესაც ოფიციალურად და საჯაროდ გაეცანით პირბადით ვარჯიშთან დაკავშირებულ საფრთხეებს, გულითადად გთხოვთ გააუქმოთ ეს რეგულაცია და გაითვალისწინოთ, რომ პირადად გეკისრებათ ვალდებულება იმ ხალხის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე, ვინც ამ რეგულაციების მსხვერპლი გახდება.

პატივისცემით

ფადი ასლი